სვამი ვივეკანანდა

SWAMI VIVEKANANDA

ბჰაქთი-იოგა

BHAKTI-YOGA

ქართული თარგმანი ეკუთვნის
ვაჟა ნარიმანიძეს

გამომცემლობა აქტი
თბილისი - 2022

მთარგმნელი: ვაჟა ნარიმანიძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

პირველი ქართული გამოცემა

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4242-9

სარჩევი

უცხოური გამომცემლის წინასიტყვაობა 5

ჩემი ცხოვრება და მისია 9
ჩემი მასწავლებელი 34
ბუდას მისია მსოფლიოს 65
ბუდიზმი როგორც ინდუიზმის დაბოლოება 65
ბუდას შესახებ 68
რა არის ბჰაქთი 75
იშვარას ფილოსოფია 84
სულიერი რეალიზაცია: ბჰაქთი-იოგას მიზანი 93
გურუს აუცილებლობა 97
მოსწავლის და მასწავლებლის აუცილებელი თვისებები 101
განსხეულებული მასწავლებლები და განსხეულება 109
მანტრა; „ომ“; სიტყვა და სიბრძნე 115
ღმერთის შემცვლელის და გამოსახულებების თაყვანისცემა 120
არჩეული იდეალი 125
მეთოდი და საშუალებები 130

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 139–141

უცხოური გამომცემლის წინასიტყვაობა

მკითხველებისთვის, შესაძლოა, ცნობილია, რომ თითქმის ყველა წიგნი, რომელიც დიადი სვამი ვივეკანანდას სახელს ატარებს, მისი ლექციების სტენოგრამების მიხედვით არის შედგენილი. ეს ლექციები მან ინდოეთში და სხვა ქვეყნებში წაიკითხა მისი მოკლე, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი ცხოვრების დროს. იგი წინასწარ არასოდეს ადგენდა ლექციებს, ამბობდა იმას, რაც თავში მოსდიოდა, როდესაც კათედრაზე იდგა. ამის დამოწმება შეუძლიათ, როგორც გამომცემელს, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება ამ ლექციებს დასწრებოდა ლონდონში, ასევე სვამის მრავალრიცხოვან მეგობრებს ინგლისში და ამერიკაში.

ყოველი ადამიანი გაიგებს, რა ძნელი იყო სტენოგრაფის პოვნა, რომელსაც იმის უნარი ექნებოდა, რომ დიდი ნიჭით დაჯილდოებული სვამის ფილოსოფიური სიტყვები ჩაეწერა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მის მეგობრებს ერთ დროს იმედი ჰქონდათ დაკარგული, რომ ამ ძვირფას ლექციებს შეინარჩუნებდნენ. მაგრამ ბედს თითქოს სურდა, რომ ასეთი მდუღარე და უანგარო ცხოვრების შრომები დაკარგული არ ყოფილიყო – მეტად საჭირო სტენოგრაფი მოიძებნა ბატას (ინგლისში) მცხოვრების ჰ.ჰ. გოდვინის სახით, რომელიც შემდგომში სვამის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ერთგული მოსწავლე და მისი მუდმივი თანამგზა-

ვრი გახდა. სვამის უამრავ მეგობარს, თაყვანისმცემელს, მსმენელს და მოსწავლეს შორის ბევრმა დღემდე არ იცის, რა დიდად უნდა უმადლოდნენ ამ დაუღალავ მუშაკს, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა მუცლის ტიფით უტკამონდში, ინდურ მისორში, დაახლოებით სამი წლით ადრე მანამდე, როცა თვითონ დიდმა სვამიმ დაასრულა თავისი ცხოვრების გზა დედამიწაზე. რომ არა გოდვინი, მსოფლიო ვერასოდეს დაინახავდა სვამის ლექციებს ინგლისურ ენაზე, და კაცობრიობა უფრო ღარიბი იქნებოდა, რადგან სვამისგან მას მხოლოდ მისი წმინდა *კარმა* დარჩებოდა.

როდესაც ამ შრომას იწყებდა, გამომცემელი ფიქრობდა, რომ სვამიმ თვითონ დაწერა ბრამავადინისთვის, – ვედანტის ყოველთვიური მადრასის გამომცემლობისთვის, – რომელშიაც ის უპირველეს ყოვლისა დაბეჭდილი იყო თანმიმდევრული სტატიების ფორმით 1894-95 წლებში, როცა სვამი ამერიკას პირველად ეწვია. გამომცემელი ფიქრობდა, რომ მისი შრომა მეორე გამოცემის გამოქვეყნებისთვის ძალიან ადვილი იქნებოდა. მაგრამ როცა ამ ამოცანას ახლოს გაეცნო, აღმოაჩინა, რომ, დასაწყისის გარდა, სადაც სვამის შანკარას, რამანუჯას და სხვა მასწავლებლების ვრცელი ციტატები მოჰყავს, მთელი წიგნი შედგენილია სტენოგრამების მიხედვით ლექციებისა *ბჰაქთიზე*, ანუ ღმერთის თაყვანისცემაზე, რომლებსაც სვამი იმ დროს ნიუ-იორკში კითხულობდა. სტენოგრაფიული ჩანაწერები კი ისეთი ნიჭიერი სტენოგრაფებისაც კი, როგორიც ჰ.ჰ. გოდვინი იყო, მათი გაშიფვრისას ყოველთვის ბევრია ხარვეზი, შეცდომა და ჩამატება. რადგან თვითონ სვამი არასოდეს აქცევდა დიდ ყურადღებას ამ ჩანაწერებს და, აგზავნიდა რა მათ დასაბეჭდად, მხოლოდ სწრაფად გადაავლებდა ხოლმე თვალს და მხოლოდ თვალში საცემ შეცდომებს ასწორებდა, ზოგჯერ კი ამასაც არ აკეთებდა,

ამიტომ გამომცემლის ამოცანა უკიდურესად საპასუხ-ისმგებლო და ძნელი აღმოჩნდა, განსაკუთრებით ახლა, როცა სვამი ჩვენ გვერდით აღარ არის და არავინ არის, ვისგანაც რჩევის მიღება იქნებოდა შესაძლებელი წვრილ-მანების შესახებ.

საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის (იმის გასწორები-სა და გადამოწმებისა, რაც სხვის მიერ იქნა ჩაწერილი) აღების ამოცანის სიძნელე და ჩანაწერის ნაკლებად ღი-რებულად ქცევის შიში კიდევ უფრო იზრდება ამჟამად იმით, რომ, როგორც ინდოეთში, ასევე სხვა ქვეყნებში, სვამის ახლა უყურებენ როგორც ღმერთით შთაგონებულ წინასწარმეტყველს. ამიტომ გამომცემელი თავისი ძა-ლების მიმართ მხოლოდ დიდი უნდობლობით აგრძელებ-და მუშაობას სტილის და სასვენი ნიშნების შეცომების გასწორებაში და სიტყვების დამატებაში, ზოგიერთი ფრა-ზისთვის უფრო ნათელი აზრის მიცემისთვის.

ბოლოს გამომცემელი აუცილებლად თვლის თქვას, რომ მთელი თავისი მუშაობის დროს, იგი ხელმძღვანე-ლობდა ერთადერთი მიზნით – სვამის ნათქვამი შეძლები-სდაგვარად უფრო ნათლად გადმოეცა და შრომა არ დაეზოგა იმისთვის, რომ ეს წიგნი უფრო სასარგემლო გაეხადა მკითხველებისთვის.

გამომცემელი: სარადანანდა

ჩემი ცხოვრება და მისია[1]

ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი დღევანდელი დილის ლექციის საგანი ვედანტის ფილოსოფიას მიძღვნილი უნდა ყოფილიყო. ეს საგანი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ სპეციფიკური და ერთობ ვრცელია.

ამასობაში, თქვენმა პრეზიდენტმა და ზოგიერთმა მსმენელმა თხოვნით მომმართეს მომეთხრო ჩემს სამუშაოზე და იმაზე, რით ვარ საერთოდ დაკავებული. და თუ ეს ვინეს აინტერესებს აქ, არა იმდენად, რამდენადაც მე თვითონ მაინტერესებს. მე ნამდვილად ბოლომდე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვისაუბრო თქვენთან ამაზე, იმიტომ რომ ცხოვრებაში პირველად ვილაპარაკებ ჩემ შესახებ.

მაგრამ იმის გაგებისთვის, რის გაკეთებას ვცდილობ ჩემს გზაზე, ინდოეთზე წარმოდგენა უნდა გქონდეთ. ჩვენ არ გვაქვს დრო იმისათვის, რომ ამ საგნის სიღრმე და მთელი მრავალფეროვნება მოვიცვათ, არც იმის შესაძლებლობა გვაქვს თქვენთვის, რომ ასეთ მოკლე დროში სხვა ერის ყველა სირთულე გაიგოთ. და მაინც ვეცდები წარმოდგენა შეგიქმნათ ინდოეთზე, ისეთზე, როგორიც ის არის.

1. სვამი ვივეკანანდას ლექცია „ჩემი ცხოვრება და მისია“ (1900 წ.) ნათელ წარმოდგენას იძლევა ინდოელი მოაზროვნის ცხოვრების იდუმალ სათავეებზე, მის პიროვნებაზე და აღმოჩენებზე სულიერი ზრდის გზებზე.

იგი ჰგავს გიგანტურ შენობას, ჩამონგრეულს და ნანგრევებით გარშემორტყმულს. და ერთი შეხედვით – იმედი ძალიან მცირეა. ეს ერი თითქოს წავიდა და აღარ არსებობს. მაგრამ ნუ ჩქარობთ დასკვნების გაკეთებას და ეცადეთ ფასადის იქით რაღაც დაინახოთ. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ იქამდე, სანამ ერის ძირითადი იდეა, მისი იდეალი არ არის მოშლილი და რაიმე სახით შეიძლება იქნეს გამოსახული, ხალხი ცოცხალია და ყოველი ადამიანისთვის არის იმედი. თუ თქვენი ტანსაცმელი თუნდაც ოცჯერ იქნა მოპარული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოკვდით. თქვენ შეგიძლიათ ახალი ტანსაცმელი შეიძინოთ. ტანსაცმელი არ არის თქვენი არსება. თუ მდიდარი ადამიანი გაქურდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სასიცოცხლო ძალა წაართვეს, ეს არ ნიშნავს მის სიკვდილს. ადამიანი უბედურებას გადაიტანს და იცხოვრებს. ვდგავართ რა ამ პრინციპზე, ჩვენ ვაცქერდებით, და რას ვხედავთ? ინდოეთს აღარ ჰყავს პოლიტიკური ხელისუფლება. იგი დაპყრობილი ერია. ინდოელებს თავიანთ საკუთარ მთავრობაში არა აქვთ არც სიტყვის, არც ხმის უფლება. ეს არის სამასი მილიონი მონა და მეტი არაფერი! ადამიანის საარსებო მინიმუმი ინდოეთში თვეში ორი შილინგია. უმრავლესობისთვის ინდოეთში ჩვეულებრივ მდგომარეობას შიმშილი წარმოადგენს, რომელსაც მილიონობით სიკვდილი მოსდევს. უმნიშვნელო შიმშილიც კი უკვე სიკვდილია. და როდესაც ინდოეთს ამ თვალსაზრისით ვუყურებ, ვხედავ მხოლოდ ნანგრევებს, უიმედო ნანგრევებს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ინდურ ერს თავის იდეალად არასოდეს დაუყენებია სიმდიდრე. და მიუხედავად იმისა, რომ ის კოლოსალურ სიმდიდრეს ფლობს, შესაძლოა, ბევრად მეტს, ვიდრე სხვა ერები ფლობენ, მას არასოდეს უცხოვრია სიმდიდრისთვის.

ეს იყო სრულძალაუფლებიანი ერი საუკუნეების განმავლობაში, და მიუხედავად ამისა, ვხედავთ, რომ ამ ერს

არ უცხოვრია ძალაუფლებისთვის, იგი არასოდეს ისწრაფოდა იმისკენ, რომ დამპყრობელთა ერი გამხდარიყო. იყო რა თავისი საზღვრებით კმაყოფილი, მას არასოდეს უბრძოლია ვინმესთან. ინდოელ ერს იმპერიული დიდებისთვის არასოდეს უცხოვრია. სიმდიდრე და ძალა ამ ერის იდეალები არასოდეს ყოფილა.

მაშ რა? მართალნი იყვნენ თუ ცდებოდნენ ისინი – ეს არ არის მსჯელობის საკითხი. ამ ერს ადამიანის შვილთა შორის სწამდა, და სწამდა თავდავიწყებით, რომ ამქვეყნიური ცხოვრება ცხოვრების მთელ რეალობას არ შეადგენს. რეალობა ღმერთია. და ღმერთში ყოფნაა საჭირო, რადგან ღმერთი გამსჭვალავს ყველაფერს – უხეშსაც და ფაქიზსაც.

და ამ ერის დაცემა რელიგიის დაცემით დაიწყო. ინდუსი სვამს რელიგიურად, სძინავს რელიგიურად, ცოლს ირთავს რელიგიურად, ძარცვავს რელიგიურად.

გინახავთ როდისმე ასეთი ქვეყანა?

თუ ბანდიტების ჯგუფის შეგროვება მოგინდებათ, ლოცვა უნდა აღავლინოთ, რელიგიურობის გარეგნობა შექმნათ და იწამოთ, რომ ეს არის ღმერთისკენ მიმავალი ყველაზე უფრო მოკლე და სწორი გზა. მხოლოდ მაშინ იპოვით მიმდევრებს, სხვა შემთხვევაში – ვერა. ეს გვიჩვენებს, რომ ერის სასიცოცხლო ძალა, მისი მოწოდება რელიგიაა, და მანამდე, სანამ ეს რელიგია ხელშეუხებელი რჩება, ერი ცოცხალია.

შეხედეთ რომს. რომს ჰქონდა მისია – იმპერიული ძალაუფლება, ექსპანსია. და როდესაც ის ამოიწურა, რომი დაიმსხვრა, მან ჩაიარა. საბერძნეთი თავის მისიას ინტელექტში მიიჩნევდა, და როგორც კი ეს მისია შესრულებულ იქნა, საბერძნეთმა ჩაიარა. ასევეა ამჟამადაც, ესპანეთთან და ყველა თანამედროვე ქვეყანასთან დამოკიდებულებით. ყოველ ერს თავისი მისია აქვს მსოფლიოში. იქამდე, სა-

ნამ იგი თავის მოწოდებას მიჰყვება, ის ცოცხალია, ყველა სიძნელის მიუხედავად. მაგრამ როგორც კი „მეთაურული იდეა“ იმსხვრევა, ერი აგონიაში კვდება.

ინდოეთის ცხოველმყოფელობას ჯერ კიდევ მსხვრევა არ შეხებია. ინდუსებმა უარი არ თქვეს თავიანთ იდეალზე, ის ჯერ კიდევ ძლიერია, მიუხედავად ყველა რელიგიური ცრურწმენისა, საშინელი ცრურწმენებისა, უმეტესწილად აუტანელი ცრურწმენებისა. არაუშავს! ეროვნული იდეა, რომელიც ინდოეთის სიცოცხლისუნარიანობას შეადგენს, ჯერ კიდევ არსებობს – ჯერ კიდევ ცოცხალია ერის მიერ თავისი იდეის გაგება.

ინდოეთის ერი არასოდეს იქნება დამპყრობელთა ერი, რომელსაც ძალაუფლება სწყურია. ინდოეთის ერი არასოდეს დაიწყებს სწრაფვას პოლიტიკური ძალაუფლების სისრულისკენ – ეს არ არის მისი იდეა; ეს ის ნოტა არ არის, რომლითაც ინდოეთი უნდა ჩაერთოს მსოფლიო ჰარმონიაში. მაშ რა არის მისი საკუთარი ნოტა? ღმერთი, და მხოლოდ ღმერთი. იგი სიკვდილამდე იქნება ამას ჩაჭიდებული. და ამიტომაც დღემდე არის იმედი. ამგვარად, როდესაც ამ ყველაფერს გააანალიზებთ, დაასკვნით, რომ მთელ სიღატაკეს, სიღარიბეს მნიშვნელობა არა აქვს – ადამიანი ცოცხალია მანამდე, სანამ არის იმედი.

დიახ! თქვენ ხედავთ რელიგიურ აქტიურობას, რომელიც მთელ ქვეყანაზეა მოდებული. არ შემიძლია დავასახელო წლები, როცა ახალი სექტები არ ჩნდებოდა ინდოეთში. რაც უფრო ძლიერია ნაკადი, მით უფრო ძლიერია მორევები და გრიგალები. დაე იმრავლოს სექტებმა იქამდე, სანამ ყოველი ჩვენგანი არ გახდება სექტა, ყოველი – ინდივიდუალურად. ჩვენ არ გვაქვს ჩხუბის საჭიროება.

ახლა აიღეთ თქვენი ქვეყანა (არავის კრიტიკას არ ვაპირებ). აქ სოციალური კანონები, პოლიტიკური ფორმაცია – ყველაფერი იქითკენ არის მომარჯვებული, რომ ადამიანს ცხოვრებაში მისი მოგზაურობა გაუადვილოს. შეხე-

დეთ თქვენს ქუჩებს – როგორი სუფთაა! შეხედეთ თქვენს მშვენიერ ქალაქებს! და რამხელა შესაძლებლობებია ადამიანისთვის, რომ „ფული იშოვოს“! რამდენი გზაა ტკბობისთვის ამ ცხოვრებაში! მაგრამ ადამიანს რომ აქ უცებ ეთქვა: „მომისმინე, ახლა კი მინდა ხის ძირში დავჯდე და მედიტაცია ვაწარმოო, არ მინდა მუშაობა“. და რა? ის ციხეში უნდა წავიდეს. ხედავთ, აქ მას არავითარი შანსი არა აქვს, არავითარი! ადამიანს ამ საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ცხოვრება, თუ იგი საერთო ხაზს მიჰყვება. მან ცხოვრებით ტკბობის დადევნება უნდა გაიზიაროს ან მოკვდეს.

ახლა კი ინდოეთს დავუბრუნდეთ. იქ, თუ ადამიანი ამბობს: „წავალ და მთის წვერზე დავჯდები, და ცხვირის წვერს დავუწყებ ცქერას სიცოცხლის ბოლომდე“, ნებისმიერი ეტყვის მას: „წადი, და ღმერთმა დაგლოცოს!“. მას არ დასჭირდება ვინმესთვის რაიმეს ახსნა. ვიღაც მას ტანსაცმელს მოუტონს – და ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ, თუ ადამიანი იტყვის: „აი მივდივარ, რომ ცოტა დავტკბე ამ ცხოვრებით“, მაშინ მის წინ ყველა კარი დაიხურება.

ამ ორივე შეხედულებას მე წარმოუდგენლად ვთვლი. აზრს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა დაჯდეს აქ ადამიანი და თავისი ცხვირის წვერს არ უყუროს, თუ მას ასე სურს. რატომ უნდა აკეთოს ყოველმა ადამიანმა აქ ის, რასაც უმრავლესობა აკეთებს? ამაში აზრს ვერ ვხედავ.

ასევე არ მესმის, რატომ არ უნდა თვლიდეს ადამიანი ინდოეთში სიკეთედ ფულის გაკეთებას. მაგრამ თქვენ ხედავთ, როგორ აიძულებენ ძალადობრივად მილიონობით ადამიანს, რომ სხვა თვალსაზრისი ჰქონდეთ. ეს არის წმინდანების ტირანია. ეს არის დიადთა ტირანია, სულის ტირანია, ინტელექტის ტირანია, სიბრძნის ტირანია! სიბრძნის ტირანია კი, გახსოვდეთ, გაცილებით უფრო მძლავრია, ვიდრე უმეცრების ტირანია.

და აი მე ვამბობ – ეს უნდა შეიცვალოს. არ არის სარგებელი იმაში, რომ მილიონობით ადამიანს ვწირავ-დეთ იმისათვის, რომ ერთი სულიერი გიგანტი შევქმნათ. თუკი არის ისეთი საზოგადოების მოწყობის შესაძლებლობა, სადაც ერთი სულიერი გიგანტის შექმნა განხორციელ-დება არა მილიონთა ხარჯზე – შესანიშნავია; მაგრამ თუ ამასთან მილიონები უნდა მოისპოს – ეს უსამართლობაა. უკეთესია, თუკი ერთი დიადი ადამიანი დაიტანჯება მთე-ლი მსოფლიოს გადარჩენისთვის.

ყოველ ერში მისი მეთოდით უნდა მუშაობდეთ. ყოვ-ელ ადამიანთან მის საკუთარ ენაზე უნდა საუბრობდეთ. ასე, ინგლისში, ან ამერიკაში, თუ გინდათ რომ რელიგია იქადაგოთ, ეს პოლიტიკური მეთოდებით უნდა გააკე-თოთ – შექმნათ ორგანიზაციები, საზოგადოებები, არჩევ-ნებით, კენჭისყრით, პრეზიდენტით და ა.შ., იმიტომ რომ ეს არის დასავლეთის რასის ენა, მეთოდი. მეორე მხრივ, თუ ინდოეთში პოლიტიკაზე გინდათ ილაპარაკოთ, თქვენ რელიგიის ენაზე უნდა ილაპარაკოთ. რაღაც ამდაგვარი უნდა თქვათ: „ადამიანი, რომელსაც ყოველდღე თავისი სახლი წესრიგში მოჰყავს, იგი ამას და ამას შეიძენს, და დამსახურებებისთვის ზეცაში, ღმერთთან წავა“. თუ ამ გზას არ გაჰყვებით, თქვენ უბრალოდ არ მოგისმენენ. ეს ენის საკითხია. საგნები საგნებად რჩება. მაგრამ ყოველ ხალხს მის ენაზე უნდა ელაპარაკოთ, რომ მის გულს ხმა მიაწვდინოთ. ეს ნამდვილი სიმართლეა. და არ არის საჭ-ირო, რომ ამის გამო წუხდეთ.

ორდენს, რომელსაც მე მივეკუთვნები, სანიასის ვუ-წოდებთ. ეს სიტყვა ნიშნავს: „ადამიანი, რომელმაც წუთი-სოფელზე უარი თქვა“. ეს არის ძალიან, ძალიან ძველი ორდენი. ბუდაც კი, რომელიც ქრისტემდე 500 წლით ადრე ცხოვრობდა, ამ ორდენს მიეკუთვნებოდა. იგი ორ-დენის ერთ-ერთი რეფორმატორი იყო. რა სისავსეა, რა

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
10. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
26. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

27. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
28. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

29. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

30. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
31. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

32. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
33. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
34. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

35. ოშო – რა არის მედიტაცია?
36. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

37. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
38. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

39. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
40. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

41. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
42. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

43. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
44. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
45. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
46. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II
47. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი III
48. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი IV

49. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
50. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
51. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
52. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

53. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
54. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
55. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

56. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
57. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
58. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

59. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია